# ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა

# 2016-2017 წლებისათვის

# სარჩევი


1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება....4

2. სამართლიანი სასამართლოს უფლება....8

3. პროკურატურა....14

4. ადამიანის უფლებების დაცვა სასჯელაღსრულების სისტემაში....20

5. წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა....44

6. ტრეფიკინგი....54

7. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა....59

8. გამოხატვის თავისუფლება....64

9. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება....65

10. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების დაცვა....67

11. რელიგიური უმცირესობების დაცვა....78

13. გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება....102

14. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებები....112

15. მიგრანტთა, თავშესაფრის მაძიებელ და თავშესაფრის მქონე პირთა უფლება....120

16. ეკო-მიგრანტთა უფლებები....134

17. რეპატრიანტთა უფლებები....135

18. ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვა....136

19. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები....145

20. შრომითი უფლებები....162

21. ეკოლოგიური უფლებების დაცვა....170

22. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელი ღონისძიებები ........ 174
23. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების "ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" განხორციელება ........ 196
24. ბიზნესი და ადამიანის უფლებები ........ 209
25. ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე ტრენინგების ორგანიზება და სამოქმედო გეგმის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები .. 211

## 1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება

| მიზანი | ამოცანა | საქმიანობა | პასუხისმგებელი უწყება | შესრულების ვადა | ინდიკატორი | ბიუჯეტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.1. სისხლის სამართლის კანონმდებლობის გადახედვა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების კუთხით | 1.1.1 სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დახვეწისათვის საჭირო ცვლილებების ინიცირება | 1.1.1.1. ირიბი მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე საკანონმდებლო რეგულაციების განმტკიცება | სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო; საქართველოს მთავრობა | 2016-2017 | განხორციელებულია შესაბამისი ანალიზი ან/და საკანონმდებლო ცვლილებები | |
| | | 1.1.1.2. დაზარალებულის უფლებების განმტკიცების მიზნით ძალაში შესული ცვლილებების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ნორმების დახვეწა. | საქართველოს მთავრობა - მთავარი პროკურატურა | 2017 | განხორციელებულია შესაბამისი ანალიზი ან/და საკანონმდებლო ცვლილებები | |
| | 1.1.2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ლიბერალიზაციის, მოსამართლის დისკრეციის გაზრდის, ნათელი და განჭვრეტადი სისხლის სამართლის ნორმების | 1.1.2.1. საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და პარლამენტში გაგზავნა. | სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო; საქართველოს მთავრობა | 2016 | შესაბამისი ცვლილებები გაგზავნილი საქართველოს პარლამენტში | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ფორმირების მიზნით, ცვლილებების პროექტის მომზადება | 1.1.2.2. საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში გათვალისწინებული დისკრიმინაციის საფუძვლების სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლების დისპოზიციაში დამამძიმებელ გარემოებად პირდაპირ მითითებას. | საქართველოს მთავრობა | 2017 | განხორციელებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები | |
| | 1.1.3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა | 1.1.3.1 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ინიცირება | საქართველოს მთავრობა; | 2016 | შექმნილია მინიმალური სტანდარტი;<br><br>სახალხო დამცველის შეფასება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მეღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობაზე. | |
| | | 1.1.3.2. ადმინისტრაციული პატიმრობის გაუქმება და ფულადი სახდელების ერთიანი სისტემის შექმნა. | | | | |
| | 1.1.4. სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით მოსამართლის როლის გაზრდა | 1.1.4.1. მოსამართლეთა გადამზადება და მოდულების შემუშავება „სიძულვილის მოტივით“ ჩადენილი დანაშაულების განხილვის ეფექტურობისა და სამართლიანობის ხარისხის ამაღლებისათვის. | იუსტიციის უმაღლესი სკოლა | 2016-2017 | შექმნილია სავალდებულო მოდული (2016);<br><br>ჩატარებული ტრენინგების და გადამზადებული მოსამართლეების რაოდენობა(2017); | |
| | | 1.1.4.2. მოსამართლეთა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა | იუსტიციის უმაღლესი სკოლა; | 2016-2017 | გადამზადებული პირების რაოდენობა | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მგრძნობელობის გაზრდა ოჯახში ძალადობაზე, ცნობიერების ამაღლების გზით. | მთავარი პროკურატურა;<br><br>შინაგან საქმეთა სამინისტრო. | | | |
| 1.2.უშუალოდ სამართალდამცავი სისტემის შიგნით დანაშაულის ჩადენის ფაქტების მაქსიმალურად გამორიცხვა და ნებისმიერ გადაცდომაზე ეფექტიანი რეაგირება. აგრეთვე, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, რომელიც სრულად გაითვალისწინებს ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებს. | 1.2.1.1.შსს თანამშრომლების საქმიანობაზე (საგამოძიებო და პრევენციული) შიდა კონტროლის არსებული მექანიზმის რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს, აღნიშნული მექანიზმის ეფექტურობას და სისტემურ დამოუკიდებლობას | 1.2.1.1.1.პოლიციის სისტემაში დანაშაულის პრევენციისა და ეფექტური გამოძიების სტანდარტების გაუმჯობესება | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;<br><br>მთავარი პროკურატურა | 2016 | მომზადებულია შესაბამისი საჭიროებების კვლევა;<br><br>მზადებულია შესაბამისი რეკომენდაციები;<br><br>შესწავლილია სხვა ქვეყნების გამოცდილება;<br><br>არსებული მდგომარეობის (საჩივრების) კვლევა;<br><br>შემოსულ საჩივართა რაოდენობა, ისევე როგორც განხილულ საქმეთა რაოდენობა; განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები. | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1.2.1.1.2.პოლიციის ყველა სამმართველოს შენობაში ეტაპობრივად დამონტაჟდეს სათვალთვალო კამერები და ვიდეოჩანაწერები შენახულ იქნას გონივრული ვადით.ვადით. | შინაგან საქმეთა სამინისტრო | 2016-2017 | ყველა სამმართველოს შენობაში დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები;<br><br>ვიდეოჩანაწერები ინახება გონივრული ვადით;<br><br>სახალხო დამცველის შეფასებები. | |
| | 1.2.2.1. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება შესაბამისი ტრეინინგებისა და სასწავლო ვიზიტების მეშვეობით | 1.2.2.1.1.შესაბამისი უნარ-ჩვევების დახვეწის მიზნით სპეციალიზირებული ტრენინგების ორგანიზება | შინაგან საქმეთა სამინისტრო | 2016–2017 | ჩატარებული ტრეინინგების რაოდენობა/გადამზადე ბული თანამშრომლების თანაფარდობა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომელთა სრულ ოდენობასთან;<br><br>ტრენინგის კურიკულუმი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს | |

## 2. სამართლიანი სასამართლოს უფლება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1.2.3.1. ადამიანური რესურსების განვითარება, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის გზით. | 1.2.3.1.1.პოლიციის შესაძლებლობების გაზრდა მომზადება/გადამზადების გზით, საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული უფლებათა დაცვის გათვალისწინებით. | შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია | 2016-2017 | გადამზადებული პირების რაოდენობა | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| | | 1.2.3.1.2. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ბრალდებულის დაკავების შესახებ საჯარო განცხადების გაკეთებისას უზრუნველყოფილი იყოს უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა კონკრეტული პირის/პირების დამნაშავეობის შესახებ მტკიცებითი ხასიათის დასკვნის გარეშე. | შინაგან საქმეთა სამინისტრო | 2016-2017 | სახალხო დამცველის ანგარიშები და შეფასებები. | |

| მიზანი | ამოცანა | საქმიანობა | პასუხისმგებელი უწყება | შესრულების ვადა | ინდიკატორი | ბიუჯეტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2.1 სასამართლო რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება გამოკვეთილი მიზნებითა და პრიორიტეტებით | 2.1.1. სასამართლო სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება; სასამართლო სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მოსამართლეთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის უზრუნველყოფა; | 2.1.1.1. სასამართლო სისტემის ერთიანი გრძელვადიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო<br><br>საქართველოს უზენაესი სასამართლო | 2016 -2017 | სტრატეგია შემუშავებულია | სახელმწიფო ბიუჯეტი/ დონორი ორგანიზაციებ ი |
| 2.2.მართლმსაჯულ ების სექტორის შემდგომი რეფორმირება | 2.2.1.მართლმსაჯულე ბის რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების უზრუნველყოფა. კერძოდ, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონით, მოსამართლეთა დისციპლინური წარმოებისა და სამართალწარმოების შესახებ კანონით | 2.2.1.1.სასამართლოში საქმეთა შემთხვევითობის პრინციპზე დაფუძნებული ელექტრონული განაწილების სისტემის დანერგვა | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;<br><br>საქართველოს უზენაესი სასამართლო;<br><br>საერთო სასამართლოები; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო/სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელი | 2016-2017 | სასამართლოთა რაოდენობა სადაც მოქმედებს საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა | სახელმწიფო ბიუჯეტი/დონ ორი ორგანიზაციებ ი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გათვალისწინებული ცვლილებები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აქტებში ცვლილებები | | უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო; | | | |
| | | 2.2.1.2.მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმების პრაქტიკაში დანერგვა; მოსამართლეთა საქმიანობის პერიოდული შეფასების სისტემის დახვეწა და მოსამართლეთა დაწინაურების კრიტერიუმების შემუშავება და დანერგვა; | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო | 2016-2017 | შერჩევის კრიტერიუმები დანერგილია; მოსამართლეთა პერიოდული შეფასებისა და მოსამართლეთა დაწინაურების შესახებ არსებულ რეგულაციებში აღმოფხვრილია ხარვეზები | სახელმწიფო ბიუჯეტი/დონ ორი ორგანიზაციებ ი |
| | | სახალხო დამცველის რეკომენდაციების განხილვა დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების მიზნით;<br><br>2.2.1.3.მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის და საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში გათვალისწინებული დისციპლინური მექანიზმების | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო<br><br>საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან და საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიასთან თანამშრომლობით | 2016-2017 | გაუმჯობესებული დისციპლინური მექანიზმები | სახელმწიფო ბიუჯეტი/დონ ორი ორგანიზაციებ ი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | გაუმჯობესება და სრულყოფა<br><br>2.2.1.4.მოსამართლეთა ეთიკის კოდექსთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება | | | | |
| | | 2.2.1.5.უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა და პალატის მუშაობაში დანერგვა | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო<br><br>საქართველოს უზენაეს სასამართლო | 2016-2017 | უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ განხილულ საჩივართა რაოდენობა | სახელმწიფო ბიუჯეტი/დონ ორი ორგანიზაციებ ი |
| | | 2.2.1.6.მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდისთვის სამართლებრივი ტესტებისა და კაზუსების მომზადების ჯგუფის ტრენინგი და მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის სტანდარტების ამაღლება | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო<br><br>საერთო სასამართლოები. | 2016-2017 | პროფესიული წვრთნების (ტრენინგების) სათანადო რაოდენობა; პროფესიულ წვრთნებში (ტრენინგებში) მონაწილე პირთა მაღალი მაჩვენებელი. | სახელმწიფო ბიუჯეტი/დონ ორი ორგანიზაციებ ი |
| | | 2.2.1.7.საკასაციო საჩივრის | საქართველოს | 2016-2017 | დანერგილია საკასაციო | სახელმწიფო |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | დასაშვებობის ახალი სტანდარტის პრაქტიკაში დანერგვა | იუსტიციის უმაღლესი საბჭო<br><br>უზენაესი სასამართლო<br><br>საერთო სასამართლოები | | საჩივრის დასაშვებობის ახალი სტანდარტი | ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაციები |
| 2.3.მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, ეფექტიანობის, მიუკერძოებლობის და პროფესიონალიზმის გაზრდა | 2.3.1.საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მის საფუძველზე შექმნილი პრეცედენტული სამართლის გამოყენების ხელშეწყობა | 2.3.1.1.უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის კომპეტენციის გაძლიერება<br><br>2.3.1.2.დიდ სასამართლოებში ადამიანის უფლებათა მრჩევლის /კონსულტანტის თანამდებობის შემოღება<br><br>2.3.1.3. მოსამართლეთა ტრეინინგების ჩატარება | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო<br><br>უზენაესი სასამართლო<br><br>საერთო სასამართლოები<br><br>იუსტიციის უმაღლესი სკოლა | 2016-2017 | განახლებულია ადამიანის უფლებათა სფეროში ქართულ და უცხოურ ენებზე არსებული სახელმძღვანელოები; ნათარგმნია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ქართულ ენაზე და განთავსებულია ელექტრონულ ბაზებზე; ჩატარებულია ტრენინგები მოსამართლეების, თანაშემწეებისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის თანამშრომელთათვის. | სახელმწიფო ბიუჯეტი/ დონორი ორგანიზაციები |
| | | 2.3.1.4.შიდა პრეცედენტულ სამართლის მონაცემთა ბაზაში არსებული საქმეების რაოდენობის ზრდა, პროგრამის მოხმარების სიხშირის ამსახველი სტატისტიკური მონაცემების შექმნა და მისი შედარების | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო<br><br>უზენაესი სასამართლო | 2016-2017 | შექმნილი პროგრამის მოხმარების სიხშირის ამსახველის ტატისტიკური მონაცემები | სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაციები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | საფუძველზე შემდგომი გაუმჯობესება, უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის კრებულების გამოცემა | საერთო სასამართლოები | | | |
| | 2.3.2.სასამართლოების ეფექტიანობის განმსაზღვრელი მეთოდების დანერგვა | 2.3.2.1.თანამშრომელთა (მოსამართლეები, აპარატი) რაოდენობისა და ფინანსური რესურსების ადეკვატურობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დანერგვა; | | | სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებელი ბაზა შექმნილია/მეთოდოლოგია დანერგილია | |
| | | 2.3.2.2.სასამართლო სისტემაში სამუშაო ანალიზისა და სამუშაო აღწერის დოკუმენტების შედგენის მიზნით საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობა;<br><br>2.3.2.3.მოსამართლეებისათვის ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამის შემუშავება და დანერგვა; | იუსტიციის უმაღლესი საბჭო<br><br>საჯარო სამსახურის ბიურო<br><br>საერთო სასამართლოები | 2016-2017 | სასამართლო სისტემის აპარატის თანამშრომლების უფლება-მოვალეობები გაწერილია;<br><br>შემუშავებულია და დანერგილია ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამა | სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაციები |
| | 2.3.3.სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის, საჯაროობის და ხელმისაწვომობის გაზრდა | 2.3.3.1.საქართველოს უზენაეს სასამართლოში სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და ნორმატიულ აქტებში ცვლილებების უზრუნველყოფა, სასამართლო გადაწყვეტილებათა საჯაროობის და | იუსტიციის უმაღლესი საბჭო<br><br>საქართველოს უზენაესი სასამართლო | 2016-2017 | შემუშავებული რეკომენდაციები და ნორმატიული აქტები | სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაციები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით | | | | |
| | | 2.3.3.2. სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის მეთოდოლოგიის, კრიტერიუმებისა და სტანდარტების შემუშავება | იუსტიციის უმაღლესი საბჭო<br><br>საქართველოს უზენაესი სასამართლო<br><br>საერთო სასამართლოები | 2016-2017 | შემუშავებულია მეთოდოლოგია და კრიტერიუმები | სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაციები |
| | | 2.3.3.3.Bench-bar ის საქმიანობის განახლება და გააქტიურება ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით | უზენაესი სასამართლო;<br><br>პროკურატურა | 2016-2017 | Bench-Bar ის შეხვედრათა რაოდენობა. | სახელმწიფო ბიუჯეტი/ორგანიზაციები |

## 3. პროკურატურა

| მიზანი | ამოცანა | საქმიანობა | პასუხისმგებელი უწყება | შესრულების ვადა | ინდიკატორი | ბიუჯეტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3.1.პროკურატურის ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც დამოუკიდებლად განახორციელებს | 3.1.1.დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, ეფექტური გამოძიება და კრიმინოგენური მდგომარეობის შესაბამისი სისხლის სამართლის | 3.1.1.1. პროკურორების გაძლიერება | პროკურატურა | 2016 | გავრცელებული დანაშაულების ანალიზების მომზადება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამართლიან, ეფექტიან და გამჭვირვალე სისხლისსამართლებრივ დევნას და ადამიანის უფლებების დაცვაზე იქნება ორიენტირებული. | პოლიტიკა | 3.1.1.2.გამოძიების ერთიანი მეთოდოლოგიის პრაქტიკაში დანერგვა | პროკურატურა | 2016 | გამოძიების ერთიანი მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო გამოცემულია და დანერგილია პრაქტიკაში; საპროკურორო საქმიანობის/საპროცესო დოკუმენტების მონიტორინგი | |
| | | 3.1.1.3. ცალკეულ დანაშაულთა შესწავლისა და პრობლემების იდენტიფიცირების შედეგად რეკომენდაციების მომზადება პროკურორებისათვის; | პროკურატურა | 2016 | რეკომენდაციები მომზადებულია; | |
| | | 3.1.1.4.სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების პრაქტიკის ანალიზი | პროკურატურა | 2016 | ანალიზი გაკეთებულია | |
| | | 3.1.1.5.სამართლებრივი წერის სახელმძღვანელოს გამოცემა სამართლებრივი წერის ერთიანი სტანდარტის დასანერგად | პროკურატურა | 2016 | სამართლებრივი წერის სახელმძღვანელო გამოცემულია | |
| | | 3.1.1.6.იურიდიული პირების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელოს შემუშავება | პროკურატურა, ფინანსთა სამინისტრო | 2016-2017 | სახელმძღვანელო შემუშავებულია | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 3.1.2. პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებ ის ხარისხის ამაღლება | 3.1.2.1.საზოგადოებაზე ორიენტირებული პროკურატურის განვითარება; | პროკურატურა | 2016 | საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება;<br>· „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროექტების რაოდენობა;<br>· საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით გატარებული | |
| | | 3.1.2.2. ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების რიცხობრივი და ხარისხობრივი/შინაარსობრივი შესწავლა და კვარტალური ანგარიშების გამოქვეყნება; | პროკურატურა | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3.1.2.3. დანაშაულის პრევენციის ადგილობრივი საბჭოების სხდომების გააქტიურება | პროკურატურა | | ღონისძიებების რაოდენობა;<br>· მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა რაოდენობა.<br>· ადგილობრივი საბჭოების სხდომების რაოდენობა. ბრიფინგების რაოდენობა | |
| | | 3.1.2.4. რიგითი პროკურორის დანიშვნისა და დაწინაურების წესის დახვეწა. | პროკურატურა | 2016 | შესაბამისი პროცედურა გადახედილია, ცვლილებები განხორციელებულია. | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| | 3.1.3. კონტროლის ისეთი მექანიზმის ჩამოყალიბება, რომელიც მიუკერძოებელი და ეფექტიანი საზედამხედველო ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს; | 3.1.3.1. პროკურორთა შეფასების სისტემის დანერგვა | პროკურატურა | 2016-2017 | შეფასების სისტემა დანერგილია;<br><br>შეფასებულ პროკურორთა რაოდენობა. | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| | | 3.1.3.2. პროკურატურის მუშაკთა ახალი ეთიკის კოდექსის მიღება | პროკურატურა | 2016 | ეთიკის კოდექსი მიღებულია | |
| | | 3.1.3.3. პროკურორთა დისციპლინური პასუხისმგებლობის გამჭვირვალე სისტემის დანერგვა | პროკურატურა | 2016-2017 | პროკურორთა დისციპლინური პასუხისმგებლობის გამჭვირვალე სისტემა დანერგილია (სახალხო დამცველის შეფასება); | |
| | 3.1.4. პროკურორების კვალიფიკაციის ამაღლება | 3.1.4.1. პროკურორებისთვის სხვადასხვა თემებზე ტრენინგების ჩატარება | პროკურატურა | 2016-2017 | ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა;<br><br>ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე სასწავლო კურსები განხორციელებულია საქართველოს პროკურატურის სისტემის ყველა ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლებისათვის.<br><br>ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე გადამზადებულია პროკურატურის სისტემის სტაჟიორები და ახალდანიშნული პროკურორები. | |
| | | | | | | სახელმწიფო |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3.1.4.2. მოწმის გამოკითხვის წესის დახვეწა და პროკურორთა გადამზადება | საქართველოს მთავარი პროკურატურა | 2016 | შესაბამისი ცვლილებები ინიცირებულია პროკურორები გადამზადებულია | ბიუჯეტი |
| | 3.1.5. პროკურატურის სასწავლო ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება და სასწავლო პროგრამების შემუშავება. | 3.1.5.1. სპეციალური ელექტრონული პროგრამის შექმნა ტრენინგების საჭიროებების ანალიზისათვის; | პროკურატურა | 2016-2017 | ელ. პროგრამა შემუსავებულია; | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| | | 3.1.5.2. სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება; | პროკურატურა | 2016-2017 | სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავებულია; | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| | | 3.1.5.3. ბიბლიოთეკის აღჭურვა შესაბამისი ლიტერატურით; | პროკურატურა | 2016-2017 | ბიბლიოთეკა აღჭურვილია | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| | | 3.1.5.4. ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა | პროკურატურა | 2016-2017 | ბიბლიოთეკა შექმნილია | სახელმწიფო ბიუჯეტი |

| 4. ადამიანის უფლებების დაცვა სასჯელაღსრულების სისტემაში | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიზანი | ამოცანა | საქმიანობა | პასუხისმგებელი უწყება | შესრულების ვადა | ინდიკატორი | ბიუჯეტი |
| 4.1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება | 4.1.1. პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერების მიმართულებით მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების სისტემატური გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა | 4.1.1.1. მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ არსებული მოქმედი კანონმდებლობისა ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებისა და შიდა რეგულაციების მომზადება და ინიცირება | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | მომზადებული და ინიცირებული ცვლილებები<br><br>პატიმართა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერების მიზნით მომზადებული და ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები | სამინისტროს ბიუჯეტი |
| | | 4.1.1.2. ბრალდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ არსებული მოქმედი კანონმდებლობისა ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2017 | მომზადებულია ანგარიში ბრალდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ არსებული | სამინისტროს ბიუჯეტი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | გათვალისწინებით შესაბამისი ხარვეზების გამოვლენა | | | კანონმდებლობის ხარვეზების შესახებ | |
| | 4.1.2. სასჯელაღსრულებისა დაწესებულებებში გადატვირთულობის პრევენცია | 4.1.2.1. მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მინიმალური საცხოვრებელი ფართით | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | ყველა მსჯავრდებული უზრუნველყოფილია სულ ცოტა 4 $მ^2$ საცხოვრებელი ფართით | სამინისტროს ბიუჯეტი |
| | | 4.1.2.2. პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირება | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის სტატისტიკა | სამინისტროს ბიუჯეტი |
| | 4.1.3. მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის, რისკების შეფასების და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიის დანერგვა და სრულყოფა | 4.1.3.1. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ რისკის შეფასება და მსჯავრდებულთა განთავსება შესაბამის დაწესებულებებში | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016 | რისკის შესაბამისად კლასიფიკაციის ინსტრუმენტი დანერგილია;<br>რისკის შეფასების შემდეგ ყველა მსჯავრდებული განთავსებულია შესაბამის დაწესებულებაში | სამინისტროს ბიუჯეტი |
| | | 4.1.3.2. საშიშროების რისკის მიხედვით მსჯავრდებულთა შეფასების ინსტრუმენტის შემდგომი დახვეწა | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016 | ქცევაზე დაფუძნებული რისკის შეფასების ინსტრუმენტში შეტანილი ცვლილებები | სამინისტროს ბიუჯეტი |
| | | 4.1.3.3. მსჯავრდებულთათვის სასჯელის მოხდის | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის | 2016-2017 | 2016 წელს სასჯელის მოხდის | სამინისტროს ბიუჯეტი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიის ეტაპობრივი დანერგვა დაწესებულებებში | სამინისტრო | | ინდივიდუალური დაგეგმვა უზრუნველყოფილია მინიმუმ 8 დაწესებულებაში, 2017 წელს დანერგილია დამატებით 3 დაწესებულებაში. | |
| | 4.1.4. პატიმართა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების შესახებ საჩივრების, დისციპლინურ და ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებით. | 4.1.4.1. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა უფლებების შესახებ საინფორმაციო ბროშურების დაბეჭდვა და დარიგება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში (აზერბ აიჯანულ, სომხურ, თურქულ, რუსულ, ინგლისურ, არაბულ და სპარსულ ენებზე); | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | პატიმართა უფლებების შესახებ დარიგებული სხვადასხვა ენოვანი 400 საინფორმაციო ბროშურების რაოდენობა; | 100 000/ ტექნიკური დახმარება |
| | | 4.1.4.2. საგანმანათლებლო კონსულტაციების ან/და ჯგუფური შეხვედრების გამართვა პატიმართათვის, მათი უფლებების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | საგანმანათლებლო კონსულტაციებსა და ჯგუფურ შეხვედრებში ჩართულია 400 მსჯავრდებული; | სამინისტროს ბიუჯეტი/ტექნიკური დახმარება |
| | 4.1.5. პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული გასაჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება | 4.1.5.1. გასაჩივრების არსებული მექანიზმის ხარვეზების შესწავლა<br><br>გასაჩივრების მექანიზმის შესწავლის შემდგომ შესაბამისი ცვლილებების განხორციელება | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | მოხსენება (ანგარიში) გასაჩივრების არსებულ მექანიზმებში გამოვლენილი ხარვეზების შესახებ | სამინისტროს ბიუჯეტი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ანგარიშის შესაბამისად განხორციელებული ცვლილებები | |
| 4.2. ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების გზით | 4.2.1. საჭიროებიდან გამომდინარე, არსებული ინფრასტრუქტურის განახლება და ახალი პროექტების შემუშავება | 4.2.1.1. საჭიროებისამებრ, სასჯელაღსრულების დაწესებულებების ინფრასტრუქტურული გამართვა და ინვენტარით აღჭურვა, (საშხაპეები, საკანალიზაციო სისტემა, ვენტილაცია, განათება, გათბობის სისტემა, სასეირნო ეზო სავარჯიშო ინვენტარით) | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტები<br>სახალხო დამცველის ანგარიში | სამინისტროს ბიუჯეტი/ 16,100,00 |
| | | 4.2.1.2. ხანგძლივი პაემანებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | ხანგრძლივი პაემანი ხელმისაწვდომია ყველა სათანადო უფლების მქონე მსჯავრდებულისათვის | შპს "პერსპექტივა" |
| | | 4.2.1.3. პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ პატიმართა რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით რეგულარულად უზრუნველყოფა. | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | სასჯელაღსრულების თითოეული დაწესებულებისათვის რეგულარულად ხორციელდება საჭირო ინვენტარის გადაცემა. სასჯელაღსრულების თითოეული დაწესებულებისათვის გადაცემული ინვენტარის რაოდენობა.<br><br>ყველა პატიმარი | სამინისტროს ბიუჯეტი/ 3 500 000 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით | |
| | 4.2.2. სასჯელაღსრულების ახალი დაწესებულებების მშენებლობა | 4.2.2.1. განსაკუთრებული რისკის N6 დაწესებულების სრულად ამოქმედება | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016 | საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განსაკუთრებული რისკის N6 დაწესებულება ამოქმედდა, სადაც რისკის შეფასების შესაბამისად ხორციელდება მსჯავრდებულების განთავსება | სამინისტროს ბიუჯეტი |
| | | 4.2.2.2. დაბა ლაითურის განსაკუთრებული რისკის დაწესებულების აშენება | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | ანგარიში დაწესებულების მშენებლობის პროცესში არსებული პროგრესის შესახებ<br><br>საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დაბა ლაითურის დაწესებულების მშენებლობა დასრულებულია, 2017 წელს და შესულია ექსპლუატაციაში. | სამინისტროს ბიუჯეტი/ 9 000 000 |
| | | 4.2.2.3. 14-21 წლამდე მსჯავრდებულებისთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალიზებული | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | ანგარიში დაწესებულების მშენებლობის | სამინისტროს ბიუჯეტი/11 500 000 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სარეაბილიტაციო დაწესებულების მშენებლობის დაწყება. | | | პროცესში არსებული პროგრესის შესახებ | |
| | | 4.2.2.4 N 7 დაწესებულების რეაბილიტაცია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | ანგარიში დაწესებულების რეაბილიტაციის პროცესში არსებული პროგრესის შესახებ | სამინისტროს ბიუჯეტი/800 000 |
| 4.3. თავისუფლებააღკვეთილთა ოჯახის წევრების, ახლობლებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის კანონით გათვალისწინებული მომსახურების გაუმჯობესება | 4.3.1. საზოგადოებრივი მისაღების მომსახურების გაუმჯობესება | 4.3.1.1. საზოგადოებრივი მისაღების აშენება და სრულად ამოქმედება იმ დაწესებულებებში სადაც არ ფუნქციონირებს. | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | წელიწადში ერთი დამატებითი საზოგადოებრივი მისაღების ამოქმედება. | სამინისტროს ბიუჯეტი/1 500 000 |
| | | 4.3.2.2. საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომლები გადიან გადამზადებას მოქალაქეთა მომსახურების საკითხებში. | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | ყოველ წლიურად საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომელთა საერთო რაოდენობის 30% გადამზადებულია | სსიპ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ბიუჯეტი |
| | 4.3.2. "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პრინციპების დაცვა | 4.3.2.1. სამინისტროს ცენტრალური არქივის სრულყოფილად მუშაობა | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | არქივის სამსახური უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ადამიანური რესურსით<br><br>ყველა დაწესებულების დოკუმენტაცია დაარქივებულია | სამინისტროს ბიუჯეტი |
| | | 4.3.2.2. საარქივო დოკუმენტაციის | სასჯელაღსრულებისა | 2016-2017 | განახლებულია | სამინისტროს |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | შენახვის ვადების გადახედვა "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პრინციპების გათვალისწინებით | და პრობაციის სამინისტრო | | სამინისტროს საქმეთა ნაერთი ნომეკლატურა | ბიუჯეტი |
| | | 4.3.2.3. საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით არქივის საძიებო პროგრამის შექმნა | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016 | შექმნილია არქივის საძიებო პროგრამა | სამინისტროს ბიუჯეტი |
| 4.4.ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია | 4.4.1. მსჯავრდებულთა დასაქმების შესაძლებლობის გაზრდის უზრუნველყოფა | 4.4.1.1. საწარმოო ზონების და დასაქმების მინი კერების შექმნა | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ახალგახსნილი საწარმოო ზონების და დასაქმების მინი კერების რაოდენობა;<br><br>სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საწარმოო ზონების და დასაქმების მინი კერების რაოდენობა ყოველწლიურად გაზრდილია;<br><br>უზრუნველყოფილია ყოველწლიურად დასაქმებულთა პროცენტული რაოდენობის ზრდა. | სამინისტროს ბიუჯეტი/ 200 000 |
| | 4.4.2. მსჯავრდებულთათვის საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების პროგრამების | 4.4.2.1. ხარისხიანი საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების მიწოდება | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016 | დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების ეფექტურობა | სამინისტროს ბიუჯეტი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გაუმჯობესება | | | | დადასტურებულია ბენეფიციართა გამოკითხვის შედეგად | |
| | | 4.4.2.2. სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში განათლების მიღების და ალტერნატიული პროფესიების დაუფლების შესაძლებლობების გაზრდა | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | საგანმანათლებლოდ პროფესიულ პროგრამებში ჩართულია პატიმართა 20% | სამინისტროს ბიუჯეტი/ 400 000 |
| | | 4.4.2.3. რისკების შესაბამისად, პატიმართა უზრუნველყოფა უმაღლესი განათლებით | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება<br><br>შესაბამისი რისკის მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან უმაღლესი განათლების მიღების საშუალებით | სამინისტროს ბიუჯეტი |
| | 4.4.3. მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის მიზნით ეფექტური ფსიქო-სოციალური, საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავება და | 4.4.3.1. ფსიქო-სოციალური, საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამების ერთიანი სტანდარტის შემუშავება და პროგრამების პაკეტის შექმნა სპეციალური ჯგუფების გათვალისწინებით (მათ შორის ძალადობაზე, ნივთიერება დამოკიდებულობაზე, აზროვნების და ხედვის შეცვლაზე, | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | დამტკიცებული ფსიქო-სოციალური, საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამების ერთიანი სტანდარტი და პროგრამების პაკეტი<br><br>დაწესებულებებში დანერგილი ფსიქო- | სამინისტროს ბიუჯეტი/ 400 000 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სერვისების მიწოდება | ჯანსაღ ცხოვრებაზე, გათავისუფლებისათვის მზადებაზე და სხვა) | | | სოციალური საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამების რაოდენობა<br>ფსიქო-სოციალურ, საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა | |
| | | 4.4.3.2. საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთ ან თანამშრომლობით სასჯელაღსრულების სისტემის სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მომზადება/გადამზადება ჯგუფური და ინდივიდუალური მუშობის ტექნიკებსა და სარეაბილიტაციო პროგრამებში | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | გადამზადებულ სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მზარდი რაოდენობა | სამინისტროს ბიუჯეტი/ტექ ნიკური დახმარება |
| | 4.4.4. პენიტენციური და პრობაციის სისტემების თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება თანასწორობისა და შემწყნარებლობის საკითხებზე | 4.4.4.1. პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიების უფლებებზე ორიენტირებული ადამიანის უფლებათა სწავლება პენიტენციური და პრობაციის სისტემების თანამშრომლებისათვის | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | მომზადებული და განახლებული პროგრამების რაოდენობა<br>ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა | სსიპ სასჯელაღსრუ ლებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ბიუჯეტი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მომზადებული თანამშრომლების მზარდი რაოდენობა | |
| 4.5. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება | 4.5.1. დაავადებათა პრევენციაზე დაფუძნებული მომსახურების გაუმჯობესება | 4.5.1.1. დამტკიცებული პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტის დანერგვა | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემი (სუიციდი, C ჰეპატიტი, ტუბერკულოზი, რეფერალი და ასე შემდეგ) | 11 500 000 (სამედიცინო დეპარტამენტ ის მთლიანი ბიუჯეტი 2016-2017 წ.წ) |
| | 4.5.2. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის დაცვის სისტემის გაუმჯობესება | 4.5.2.1. სამედიცინო პერსონალის მომზადება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის საკითხებზე | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო<br><br>სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი | 2016-2017 | სამედიცინო პერსონალის მომზადების შესახებ კურიკულუმი მოიცავს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის საკითებს | სამინისტროს ბიუჯეტი |
| | 4.5.3. ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემის დახვეწა | 4.5.3.1. პენიტენციური სისტემის ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცება | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016 | დამტკიცებული ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის დოკუმენტი | სამინისტროს ბიუჯეტი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4.5.3.2. ფსიქიკური ჯანმრთელობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში დაგეგმილ ცვლილებებში პენიტენციური სისტემის მოთხოვნების გათვალისწინება | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016 | ფსიქიკური ჯანმრთელობის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები | სამინისტროს ბიუჯეტი |
| | | 4.5.3.3. სუიციდის პრევენციის პილოტირების დასრულება და სრულფასოვანი პროგრამის ეტაპობრივი განხორციელება დაწესებულებებში | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016 | დამტკიცებული პრევენციის პროგრამა<br>დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა, რომლებშიც მოქმედებს სუიციდის პრევენციის პროგრამა | სამინისტროს ბიუჯეტი |
| | 4.5.4. ნივთიერებადამოკიდებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა | 4.5.4.1. ოპიოიდური დამოკიდებულების დროს მეთადონით ჩანაცვლებითი და შემანარჩუნებელი პროგრამების შემუშავება | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | შემუშავებულია მეთადონით გრძელვადიანი ჩანაცვლებითი და შემანარჩუნებელი თერაპიის პროგრამა | სამინისტროს ბიუჯეტი |
| | | 4.5.4.2. არაოპიოიდურ ნივთიერებებზე დამოკიდებულ პატიმართა შესაბამისი მკურნალობა | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | | მკურნალობის პროცესში ჩართულ არაოპიოიდურ ნივთიერებებზე დამოკიდებულ პატიმართა მზარდი პროცენტული რაოდენობა | სამინისტროს ბიუჯეტი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 4.5.5. სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება პატიმართათვის ადეკვატური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის საკითხებზე | 4.5.5.1. სამედიცინო პერსონალის მომზადებისათვის საჭირო სასწავლო პროგრამებისა და მასალების მომზადება და არსებული სასწავლო პროგრამების განახლება/გაუმჯობესება | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო<br><br>სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი | 2016-2017 | მომზადებული და განახლებული პროგრამების რაოდენობა | სსიპ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაციები |
| | | 4.5.5.2. პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის თანამშრომელთა მომზადება/გადამზადება მოკლე და გრძელვადიანი სასწავლო პროგრამების საშუალებით პატიმრებთან მოპყრობის, ჯანმრთელობის უფლების დაცვის, ადამიანის უფლებების დაცვის, წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის საკითხებზე ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი<br><br>სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | | თითოეული სასწავლო პროგრამის ფარგლებში მოზადებული/გადამზადებული სამედიცინო მუშაკების რაოდენობა<br><br>სასწავლო პროგრამის გავლა სამედიცინო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის სავალდებულო ხასიათისაა | სსიპ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაციები |
| | 4.5.6. ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება მოწყვლადი ჯგუფებისთვის ჯანმრთელობის დაცვის | 4.5.6.1. საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით შესაბამისი სასწავლო პროგრამების მომზადება და არსებული | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | | მომზადებული და განახლებული პროგრამების რაოდენობა;<br><br>ჩატარებული ტრენინგების | სსიპ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ბიუჯეტი/დონ |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. | პროგრამების განახლება-გაუმჯობესება<br><br>სასწავლო ცენტრში არსებულ ყველა ძირითად სასწავლო პროგრამაში მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებული თემატიკის შეტანა<br><br>ჯანმრთელობის დაცვის უფლების ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფის მიზნით, სისტემის სამედიცინო პერსონალის მომზადება/გადამზადება სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა ადეკვატური სამედიცინო მომსახურების საკითხებზე - საერთაშორისო რეკომენდაციებისა და ადგილობრივი სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებით | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი | | რაოდენობა<br><br>ძირითად პროგრამებში აღნიშნული თემატიკის შესაბამისი სესიების რაოდენობა<br><br>მომზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა | ორი ორგანიზაციებ ი |
| 4.6. პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიების უფლებების დაცვის უზრუნველყოფა | 4.6.1. პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიის უფლებების სწავლება | 4.6.1.1. სასჯელაღსრულების სისტემის იმ თანამშრომელთა სასწავლო პროგრამაში, რომლებსაც შეხება აქვთ ბრალდებულებთან და მსჯავრდებულებთან, პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიის უფლებების შესახებ საგნის დამატება | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | სასწავლო პროგრამაში შესულია საგანი პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიები (ქალები, არასრულწლოვნები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, უცხოელი პატიმრები, ხანდაზმული პატიმრები, უვადო ან | სსიპ სასჯელაღსრუ ლებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ბიუჯეტი/დონ ორი ორგანიზაციებ ი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | გრძელვადიანი პატიმრები, ლგბტ პატიმრები) | |
| | 4.6.2. არასრულწლოვან ბრალდებულებთან და მსჯავრდებულებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა<br><br>არასრულწლოვანთა რესოციალიზაციისთვის მზადების ხელშეწყობა | 4.6.2.1. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების დებულების დამტკიცება<br><br>არასრულწლოვანთა პვგ ადგილობრივი საბჭოს დებულების დამტკიცება<br><br>საჭიროების მიხედვით ნორმატიული ცვლილებების შემუშავება | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016 | არასრულწლოვანთა დაწესებულების დამტკიცებული დებულება<br><br>არასრულწლოვანთა პვგ ადგილობრივი საბჭოს დამტკიცებული დებულება<br><br>საჭიროების მიხედვით შემუშავებული ნორმატიული ცვლილებები | სამინისტროს ბიუჯეტი |
| | 4.6.3. არასრულწლოვანთა საჭიროებებზე მორგებული ტრენინგის ჩატარება პენიტენციური და პრობაციის სისტემის ყველა იმ თანამშრომლისთვის, ვისაც სამსახურებრივი შეხება აქვს არასრულწლოვან პატიმრებთან, პრობაციონერებთან. | 4.6.3.1. საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით შესაბამისი სასწავლო პროგრამებისა და მასალების განახლება და გაუმჯობესება საჭიროებისამებრ | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი | 2016-2017 | მომზადებული და განახლებული პროგრამების რაოდენობა<br><br>გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა | სსიპ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაციები |
| | | 4.6.3.2. არასრულწლოვნებთან | სასჯელაღსრულების | 2016-2017 | არასრულწლოვან | სსიპ |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მომუშავე პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომელთა მოზადება/კვალიფიკაციის ამაღლება არასრულწლოვანთა მოპყრობის, მათი სპეციფიკური საჭიროებების, ასაკობრივი თავისებურებების შესახებ | სამინისტრო<br><br>სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი | | ბრალდებულებთან და მსჯავრდებულებთან მომუშავე ყველა თანამშრომელი გადამზადებულია | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაციები |
| | 4.6.4. პატიმარ ქალთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობების შემდგომი გაუმჯობესება „ბანგკოკის წესების“ შესაბამისად. | 4.6.4.1. სასჯელაღსრულების სისტემაში მყოფი ქალი პატიმრების სპეციფიკური საჭიროებების შეფასება და გამოვლენა<br><br>4.6.4.2 გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (საშხაპეები) | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო<br><br>სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017<br><br>2016-2017 | მოხსენება/ანგარიში გამოვლენილი სპეციფიკური საჭიროებების შესახებ<br><br>მოხსენება/ანგარიში განხორციელებული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესახებ | სამინისტროს ბიუჯეტი |
| | 4.6.5. ქალ პატიმართა რეაბილიტაციის ხელშეწყობა | 4.6.5.1. მცირე დასაქმების კერების ჩამოყალიბება ქალთა დაწესებულების ტერიტორიაზე | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | დასაქმებულ მსჯავრდებულ ქალთა მზარდი პროცენტული რაოდენობა<br><br>ახლადგახსნილი დასაქმების კერების რაოდენობა | სამინისტროს ბიუჯეტი/ტექნიკური დახმარება |
| | | 4.6.5.2. ქალ | სასჯელაღსრულების | 2016-2017 | უმაღლესი | სამინისტროს |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა | ა და პრობაციის სამინისტრო | | განათლების პროგრამებში ჩართულ ქალთა რაოდენობა | ბიუჯეტი |
| | | 4.6.5.3. ქალ მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიდგომების შემდგომი დახვეწა და პროგრამების დანერგვა | სასჯელაღსრულების ა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | მოხსენება/ანგარიში ფსიქო-სოციალურ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ<br><br>ფსიქო-სოციალურ პროგრამებში ჩართული ქალი პატიმრების<br><br>რაოდენობის პროცენტული ზრდა | სამინისტროს ბიუჯეტი/ტექ ნიკური დახმარება |
| | | 4.6.5.4. გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხის გადახედვა | სასჯელაღსრულების ა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხაში, საჭიროებისამებრ შეტანილი ცვლილებები | სამინისტროს ბიუჯეტი |
| | 4.6.6. გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სისტემაში დასაქმებულ თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება | 4.6.6.1. საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებ თან თანამშრომლობით შესაბამისი სასწავლო პროგრამების მომზადება და არსებული პროგრამების | სასჯელაღსრულების ა და პრობაციის სამინისტრო<br><br>სასჯელაღსრულების ა და პრობაციის | 2016-2017 | მომზადებული და განახლებული პროგრამების რაოდენობა | სსიპ სასჯელაღსრუ ლებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ბიუჯეტი/დონ ორი ორგანიზაციებ |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | განახლება და გაუმჯობესება<br><br>სასწავლო ცენტრში არსებულ ყველა ძირითად სასწავლო პროგრამაში აღნიშნული თემატიკის შეტანა<br><br>პენიტენციური და პრობაციის სისტემების თანამშრომელთა ტრენინგები ქალთა უფლებებსა და გენდერულ საკითხებზე, საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების, ასევე ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად | სასწავლო ცენტრი; | | ძირითად პროგრამებში აღნიშნული თემატიკის შესაბამისი სესიების რაოდენობა<br><br>ჩატარებული ტრენინგებისა და მომზადება გავლილი თანამშრომლების რაოდენობა | ი |
| | 4.6.7. პატიმარ ქალთა პირადი ცხოვრების უფლება | 4.6.7.1. N5 დაწესებულებაში გრძელვადიანი პაემანებისათვის შექმნილი ინფრასტრუქტურის სრულყოფილად ამოქმედება | სასჯელაღსრულების ა და პრობაციის სამინისტრო | 2016 | N5 დაწესებულებაში განხორციელებული გრძელვადიანი პაემანების სტატისტიკური მაჩვენებელი | სამინისტროს ბიუჯეტი |
| | | 4.6.7.2. ბავშვთა მიერ დაწესებულების დატოვების პროცედურებთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზის გადახედვა ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით; მოხდეს მათი გარესამყაროსთან შეგუება, რათა დედასთან განშორების დროს მინიმუმამდე იქნას დაყვანილი | სასჯელაღსრულების ა და პრობაციის სამინისტრო | 2016 | განახლებულია შესაბამისი პროცედურები და ნორმატიული ბაზა | სამინისტროს ბიუჯეტი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ბავშვთა ტრამვირება | | | | |
| | 4.6.8. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის შესაბამისად | 4.6.8.1. მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებებისა და ახალი რეგულაციების მიღება. | სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო | 2016 | ანგარიში მოქმედი კანონმდებლობის ანალიზის შესახებ<br><br>განხორციელებულია შესაბამისი ცვლილებები. | სამინისტროს ბიუჯეტი |
| | | 4.6.8.2. შშმ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა მიმართ მიდგომის სოციალური მოდელის შემუშავება | სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 2016 | დამტკიცებულია, ფსიქო-სოციალურ მოდელზე დაფუძნებული, შშმ მსჯავრდებულ/ბრალდებულთა ზრუნვის სტანდარტი | სამინისტროს ბიუჯეტი |
| | 4.6.9. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თავისუფლება აღკვეთილ პირთათვის სპეციალური, ადაპტირებული საცხოვრებელი პირობების შექმნა | 4.6.9.1. სასჯელაღსრულების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის საჭიროებათა შესწავლა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სპეციფიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ადაპტირებული ფიზიკური გარემოს შექმნა გონივრული მისადაგების გათვალისწინებით | სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | ჩატარებული შესწავლის შედეგად გამოვლენილია საჭიროებები ახალ ინფრასტრუქტურულ პროექტებში გათვალისწინებულია ადაპტირებული ფიზიკური გარემო<br><br>გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მოცულობა | სახელმწიფო ბიუჯეტი/200 000 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 4.6.10. შშმ პირებისთვის სათანადო მომსახურების უზრუნველყოფა | 4.6.10.1. შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამების დანერგვა | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016-2017 | შშმ პირებზე ადაპტირებული ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამების რაოდენობა<br>სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილე შშმ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა მზარდი რაოდენობა. | სახელმწიფო ბიუჯეტი/ტექნიკური დახმარება |
| | 4.6.11. ცნობიერების ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე | 4.6.11.1. თანამესაკნეთა და სხვა ბრალდებულ/მსჯავრდებულთა შშმ პირთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით შეხვედრებისა და ტრეინინგების ჩატარება | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016 | შეხვედრებსა და ჩატარებულ ტრეინინგებში მონაწილე ბრალდებულ/მსჯავრდებულთა მზარდი რაოდენობა | სახელმწიფო ბიუჯეტი/ტექნიკური დახმარება |
| | 4.6.12. უცხოელ პატიმართა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა | 4.6.12.1. უცხოელ პატიმრებს მათთვის გასაგებ ენაზე განემარტოთ, მათი უფლებები და მოვალეობები, ციხის რეჟიმის პირობები, იურიდიული კონსულტაციის და დახმარების უფლება | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016 | საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში | სახელმწიფო ბიუჯეტი/ 50 000 |
| | | 4.6.12.2. უცხოელი პატიმრები უზრუნველყოფილნი იყვნენ სათანადო სამედიცინო შემოწმებითა და მომსახურებით, საჭიროების შემთხვევაში | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016 | საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში<br>სათანადო სამედიცინო შემოწმებით უზრუნველყოფილია | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | თარჯიმნის მონაწილეობით | | | ყველა უცხოელი პატიმარი | |
| | | 4.6.12.3. უცხოელი პატიმრების მომზადება გათავისუფლებისთვის | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 2016 | შესაბამის საერთაშორისო და სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით, სამშობლოში დაბრუნების სურვილის მქონე პირთა რაოდენობა, რომელსაც სამინისტრო დაეხმარა დაბრუნებაში<br><br>უცხოელ პატიმართა რიცხვი, რომელსაც კონსულტაცია და იურიდიული დახმარება გაეწია სათანადო დოკუმენტაციის აღების მიზნით | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| 4.7. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების სისტემის სრულყოფა | 4.7.1. პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობების განვითარება | 4.7.1.1. ელექტრონული მონიტორინგის სამმართველოს საქმიანობის ანალიზი და გამოვლენილი ხარვეზების შემდგომი დახვეწა | პრობაციის ეროვნული სააგენტო | 2016 | ანგარიში ელექტრონული მონიტორინგის სამმართველოს მუშაობის შესახებ;<br><br>ანალიზის შედეგების შედეგად | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | გამოვლენილი ხარვეზები გამოსწორებულია | |
| | | 4.7.1.2. შინაპატიმრობის ელექტრონული მონიტორინგის სისტემის  იმპლემენტაცია | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო<br>პრობაციის ეროვნული სააგენტო | 2016-2017 | ელექტრონულ მონიტორინგში ჩართულ პირთა მზარდი სტატისტიკური მაჩვენებელი | |
| | | 4.7.1.3. ვიდეოპაემანის სერვისის შემდგომი განვითარება | პრობაციის ეროვნული სააგენტო | 2016-2017 | ყოველწლიურად შექმნილია დამატებით ერთი ვიდეოპაემანის წერტილი | |
| | | 4.7.1.3. პრობაციის ბიუროების ინფრასტრუქტურის განვითარება | პრობაციის ეროვნული სააგენტო | 2016-2017 | ყოველწლიურად განახლებულია 3 რეგიონალური ბიუროები | |
| | | 4.7.1.4. მოქმედი კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და ინიცირება | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო<br>პრობაციის ეროვნული სააგენტო | 2016 | მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი<br>მომზადებულია და ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები | |
| | | 4.7.1.5. პრობაციის ოფიცრები რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის | | 2016-2017 | რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მიხედვით მუშაობენ მსჯავრდებულებთან | | | ინდივიდუალური დაგეგმვის მზარდი პროცენტული მაჩვენებელი | |
